



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 28 მაისი, 2013 წელი

დრო: 17:00 – 19:00 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო “ციტადინი”

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის (თანაკოორდინატორი)
2. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია ”ქალი და ბიზნესი” (თანაკოორდინატორი)
3. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
4. ია თიკანაძე - ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში
5. ევა გეგეშიძე - ჯუნიორ ეზივმენტი საქართველო
6. ნინო ევგენიძე - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
7. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
8. გივი ქოჩორაძე - კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
9. ლევან სისვაძე - მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდი
10. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
11. თემურ თორდინავა - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი
12. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
13. დიანა ჯანაშია - ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი

განსახილველი საკითხები:

1. საგარეო ვაჭრობა და ინვესტიციები საქართველოში: გარემო და ტენდენციები - კახა გოგოლაშვილი
2. ინფორმაცია EaP CSF WG2 სხდომის შესახებ (ბრიუსელი, 2013 წლის 13 მაისი) - ნინო ელიზბარაშვილი
3. ინფორმაცია EaP მე-2 პლატფორმის (სამთავრობო) პანელის „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ პირველი სხდომის შესახებ (ბრიუსელი, 2013 წლის 13 მაისი) – ოლეგ შატბერაშვილი
4. სხვადასხვა

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგი. ჯგუფის წევრებმა პირველ საკითხად მოისმინეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის წარმომადგენლის პრეზენტაცია ”საგარეო ვაჭრობა და ინვესტიციები საქართველოში: გარემო და ტენდენციები”. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, კვლევა, რომლის შედეგებიც მოცემულია პრეზენტაციაში, განხორციელდა აზერბაიჯანულ და უკრაინულ ორგანიზაციებთან ერთად მარშალისა და შავი ზღვის ნდობის ფონდების ფინანსური მხარდაჭერით. კვლევა მიზნად ისახავს იმის დადგენას თუ რა პრობემები არსებობს შავი ზღვის რეგიონში ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებისათვის, ასევე ადამიანების თავისუფალი გადაადგილებისთვის.

ორგანიზაციის წარმომადგენელმა პრეზენტაციაში მიმოიხილა ისეთი თემები, როგორც არის საქართველოს სავაჭრო რეჟიმი, სავაჭრო პოლიტიკის მიზნები, სავაჭრო სტატისტიკა, სავაჭრო პარტნიორები, ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და საქართველოს ეკონომიკის მამოძრავებელი ფაქტორები. მომხსენებელმა ისაუბრა ასევე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, წარსულის პრობლემებსა და არებულ სამართლებრივ გარემოზე. პრეზენტაციის ბოლოს ორგანიზაციის წარმომადგენელი შეეხო მიგრაციასა და ადმიანების გადაადგილებას, არსებულ კანონმდებლობას, ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებებს.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ჯგუფის თანაკოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შესახებ, რომელიც გაიმართა 2013 წლის 13 მაისს ბრიუსელში. საქართველოდან შეხვედრას ესწრებოდნენ ჯგუფის ორივე თანაკოორდინატორი და ევრაზიის ფონდის წარმომადგენელი. შეხვედრა გახსნა ჯგუფის ხელმძღვანელმა გენადი მაკსაკმა და წარმოადგინა 1 წლის მანძილზე ქვეყნების მიხედვით (მათ შორის საქართველო) მეორე სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობების მოკლე ანგარიში.

მცირე მეწარმეობის განვითარების გენერალურმა დირექტორმა ევროკომისიაში წარმოადგინა ანგარიში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესახებ. ანგარიშის მომზადებაში საქართველოდან მონაწილეობდნენ ძირითადად ეკონომიკის სამინისტრო და დამოუკიდებელი ექსპერტები. აღინიშნა, რომ სასურველია შემდგომში მსგავსი ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენლებმა ყველა ქვეყნიდან.

კონრად ადენაუერის ფონდის ხელმძღვანელმა წარმოადგინა პროექტი "სამოქალაქო საზოგადოების დიალოგი სახელმწიფო სტრუქტურებთან", რომელმაც გაიმარჯვა ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში "Civil Society Facility". პროექტის პარტნიორი საქართველოში არის კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას უფლება აქვს ჩაერთოს პროექტის მიმდინარეობის პროცესში და მონიტორინგი გაუწიოს მის განხორციელებას. გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია პროექტის აზერბაიჯანელმა პარტნიორმა. შეხვედრის მონაწილე აზერბაიჯანული ორგანიზაციების თქმით, ფონდმა პარტნიორად აირჩია ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის დაფუძნებული.

პრეზენტაციების დასრულების შემდეგ შეხვედრაზე შემუშავდა რეკომენდაციების პაკეტი. თანაკოორდინატორის თქმით, გათვალისწინებულ იქნა მისი რეკომენდაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მეწარმე ქალთა ქსელის შექმნის შესახებ. მეორე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სოციალურ საწარმოებს, წამოაყენა ევრაზიის ფონდის წარმომადგენელმა. ჯგუფის ხელმძღვანელმა ფორუმის მონაწილეებს აცნობა, რომ ევროკავშირმა მეორე სამუშაო ჯგუფს გამოუყო დაფინანსება 2 წლის განმავლობაში 30 ათასი ევროს ოდენობით. შეხვედრაზე მომზადდა რამდენიმე საპროექტო კონცეფცია მათ შორის საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნული საპროექტო კონცეფცია დაფინანსდა და გულისხმობს მეორე სამუშაო ჯგუფის წევრი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნას.

ჯგუფის მერე თანაკოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პანელის პირველი სხდომის შესახებ, რომელიც გაიმართა ასევე ბრიუსელი, 2013 წლის 13 მაისს. თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ 2013 წელს მეორე ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა რამდენიმე პანელი კერძოდ, მცირე ბიზნესის, ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის, დაემატა ასევე კლიმატის ცვლილების პანელიც.

სოფლის მეურნეობის პანელი წარმოადგენს სამთავრობო პანელს და მასში მონაწილეობენ სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საქართველოდან შეხვედრას ესწრებოდნენ ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია "ელკანა"-ს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმოდგენლები. განხილვის ძირითადი თემა იყო კოოპერაცია და კოოპერატივები. აღინიშნა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კოოპერატივებს სჭირდება განვითარება და ხელშეწყობა. გამოიყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სოფლის მეურნეობის ძირითადი ხარვეზები, კერძოდ მიწების მაღალი პარსელიზაცია, ცოდნის უქონლობა, ევროპული სტანდარტებისა და რეგულაციებისგან მკვეთრი გადახრა. წარმოდგენილ

იქნა ევროკავშირის სოფლის მეურნეობის და რეგიონული განვითარების პოლიტიკა, რომელიც გადაკვეთილია წევრი ქვეყნების აგრარულ პოლიტიკასთან.

ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენელმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის აპრილი შეხვედრის შესახებ, სადაც პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად დამსწრეებმა მუხლობრივად განიხილეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტი, მასთან დაკავშირებული ის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მომზადდა ქვეჯგუფის წევრების მიერ. ჯგუფის თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ პარლამენტში ჩანიშნული კანონპროექტის განხილვის შესახებ ჯგუფის წევრებმა შეიტყვეს მხოლოდ წინა დღით, რის გამოც ვერ მოხერხდა ქუთაისში გამგზავრება. აღსანიშნავია ისიც, რომ შეტყობინება განხილვის შესახებ მოვიდა OXFAM-ის წარმომადგენლისგან და არა კომიტეტისგან.

სამსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია